პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 კვირა 26 იანვარი № 22 (16148) ფასი 2 კაპ. 1975

დიდი შრომითი გამარჯვება

ნოვომოსკოვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ქიმიურ კომბინატში ეინერალური სასუქებისა და მათი ნედლეულის წარმოების სამრეწველო კომპლექსის მშენებლობის მონაწილეებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მზურვალედ ულოცავენ მშენებლების, მემონტაჟეების, ქიმიკოსებისა და დამპროექტებლების კოლექტივებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს დიდ შრომითს გამარჯვებას — ნოვომოსკოვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ქიმიურ კომბინატში მინერალური სასუქებისა და მათი ნედლეულის გამოშვების ახალი სამრეწველო კომპლექსის მშენებლობის დამთავრებასა და ექსპლუატაციაზე გადაცემას. ამოქმედდა ამიაკის გვარჯილის, აზოტმჟავასა და ამიაკის დიდი წარმოებანი.

ნოვომოსკოვსკის ქიმიურ კომბინატში მინერალური სასუქების გამოშვების ახალი კომპლექსის ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობა — პროფესიონალ გამოვლინ გადიდებას.

ეს წარმატება მიღწეულია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, მშენებლობის ყველა მონაწილის თავდადებული შემოქმედებითი შრომის, საშუალოთა წარმოების პროგრესული ტექნიკური გადაწყვეტებისა და მეთოდების გამოყენების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ შრომითს წარმატებებს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ამ დღეების გმირები

ყოველი სამუშაო დღე — დამკვრელური

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის მეგმისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. იანვარში გმირი კოლექტივი შრომის გრიგადა დაწინაურდა, მაგრამ მათ შორის ალსანიშნავია საამყოფო საამქროს კოლექტივი შრომის ამყოფ ზინკალთა ის გრიგადა, რომელსაც ი. ვართანოვი უძღვება. გრიგადა ერთ-ერთი პირველი ჩაება გამარჯვების 30 წლისთავის ალსანიშნავად გაფლილ შეჯიბრებაში და ყოველი სამუშაო დღე დამკვრელურად გამოაცხადა. გრიგადის წევრები ახლა ივნისის ანგარიშში შრომობენ.

სურათზე: გრიგადის წევრები, კოლექტივი შრომის დამკვრელები, (მარცხნიდან) ვ. ხამთასი, ჯ. ქარსაულიძე, მ. ოდაგაშიანი და ელექტროშემდუღებელი თ. ოთიაშვილი.

გ. გოგოლიას ფოტო.

ქალაქი — სოფელს

მეტრომშენებლები სოფლად გავიდნენ

შეფი აშენებს ფერმებს, სასენაქეებს, საცხოვრებელს

მეტროშენებლობას სოფელთან თითქოს საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს ასე როდია. „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივი დედაქალაქის მეტროპოლიტენთან ერთად ალვანში, ელდარში, ალგეთში, მეჯვრისხევში, ბერშუეთში, ხაშურში, სოხუმსა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში აშენებს სოფლის მეურნეობის სამრეწველო ბაზებს.

წლეულს კიდევ უფრო გაიზარდა სოფლად სამრეწველო ბაზების მშენებლობის ფრონტი, გვირაბმშენებლებმა მარმანღელთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი თანხა უნდა აითვისონ.

განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს სოფელთან № 9 საგვირაბო რაზმის კოლექტივს. ბევრ მნიშვნელოვან ობიექტს აგებს იგი რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში. მიმდინარეობს ტრიფონის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია. ამ მგზავრალზე გვირაბმშენებლები ორ ადგილზე აწარმოებდნენ დიდ არხის გვირაბებით შეცვლის სამუშაოებს — მეჯვრისხევსა და ბერშუეთში. გვირაბი სარწყავ წყალს მიაწვდის 30 ათას ჰექტარ ბაღ-ვენახებსა და მინდვრებს.

მეტრომშენებლები განსაკუთრებით დიდ საქმეს აკეთებენ ახმეტის რაიონის ზემო და ქვემო ალვანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში. აქ საქმიანობს № 9 საგვირაბო რაზმის ერთ-ერთი უბნის კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი ა. გალდავაძე უძღვება.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 32 ფერმა, 60 ფარეხი, 16 საღორე, 40 საცხოვრებელი სახლი, 3 აბანო, 3 წისქვილი, ხორბლის შესანახავი 8 ბეღელი, — აი არასრული სია იმ ნაგებობებისა, რომლებიც მეურნეობებისათვის აიგო ამ უკანასკნელ წლებში. გარდა ამისა მეცხოველეობის ფერმებსა და სოფლებში გაიყვანეს 40 კილომეტრამდე საერთო სიგრძის წყალსადენი.

წლეულს უბნის ბრიგადები, რომლებსაც გამოცდილი მშენებლები ა. ქოქორიშვილი, გ. გარსევანიძე, ი. იუკურიძე, კ. ბექურაიძე, ჯ. გუთანაიძე ხელმძღვანელობენ, ალვანის სოფლებსა და შირაქის სამოვრებზე აგებენ 8 საცხოვრებელ სახლს მეცხვარეებისათვის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღების შესანახავ ფარდულს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. დღემდე აგებული ობიექტები მხოლოდ „ფრიადზე“ და „კარგი“ შეფასებით ჩააბარეს.

თბილგვირაბმშენის კოლექტივის სოფლისათვის საშეფო დახმარების წლევანდელი გეგმა ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებას ითვალისწინებს. ნაკისრია ახალი გადიდებული ვალდებულებები. გვირაბმშენებლებმა გადაწყვიტეს წლეულს დამატებით ააგონ მეცხოველეობისათვის საჭირო ობიექტები. ისინი ალვანის საბჭოთა მეურნეობას და გორის რაიონის კოლმეურნეობებს აუგებენ 4-4 სასენაჟე ორმოს და თითო-თითო საფურაჟე საწყობს.

ჯ. კობიძე.

ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას

შეჯიბრებას — მძლავრი ფრთები

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

დევიზი: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი
ხარისხის პროდუქცია ნაკლები
დანახარჯებით!

ხუთწლედის მძლავრი ნაბიჯები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშლილი სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა და შემხვედრი გეგმების შესრულების საფუძველზე, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წელს მოიპოვეს ახალი წარმატებანი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მეცნიერებასა და კულტურულ მშენებლობაში.

კვლავ ხორციელდებოდა სოციალური პროგრამის ღონისძიებანი, უზრუნველყოფილია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

1974 წელს სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1974 წელი პროცენტობით 1973 წელთან შედარებით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	105
მრეწველობის პროდუქცია	108,0
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება („ა“ ჯგუფი)	108,3
მოხმარების საგნების წარმოება („ბ“ ჯგუფი)	107,2
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	96,3
ძირითადი ფონდების ამოქმედება	104
კაპიტალური დაბანდებანი	107
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	106,5
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი	102,2
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	107
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	104,3
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	105
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები	106,3
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	104,2
საცალო საქონელბრუნვა	105,9
საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	109,5
საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა	99,5
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	106,5
კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში	98,3
მშენებლობაში	105,9
რკინიგზის ტრანსპორტზე	103,9
მოგება სახალხო მეურნეობაში (შესადარ ფასებში)	110
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა	121,5

ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა თითქმის 350 მილიარდი მანეთი (ფაქტიურ ფასებში) და წლის მანძილზე 14 მილიარდი მანეთით გაიზარდა. ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი გამოყენებული მოხმარებისათვის, დანარჩენი ნაწილი კი — სოციალისტური წარმოების გაფართოებისა და სხვა საერთო-სახელმწიფო საჭიროებებისათვის.

ეკონომიკის ზრდის საფუძველზე თანმიმდევრულად ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული **ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.** 1971-1974 წლებში მარტო განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ხელფასი მოემატა 47 მილიონ კაცს, ანუ ყოველ მეორე მუშასა და მოსამსახურეს. 30 მილიონზე მეტ კაცს მოემატა პენსია, დახმარება, სტიპენდია და სხვა მისაცემლები.

მრეწველობის პროდუქციამ 1974 წელს შეადგინა დაახლოებით 490 მილიარდი მანეთი და წლის მანძილზე 37 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

წარმოებულია 94 მილიარდ მანეთისაზე მეტი **სოფლის მეურნეობის პროდუქცია,** რაც თითქმის 5 პროცენტით აღემატება საშუალოწლიურ წარმოებას 1971-1973 წლებში.

სახალხო მეურნეობაში ამოქმედდა 98 მილიარდ მანეთზე მეტი საერთო ღირებულების **ძირითადი ფონდები.**

საბჭოთა კავშირის საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 38 მილიარდი მანეთი. ამასთან ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ბრუნვამ გადააჭარბა გრძელვადიანი შეთანხმებებით გათვალისწინებულ დონეს.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 1974 წელს გაიზარდა 4,4 პროცენტით, ამ ფაქტორის შედეგად მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების 80 პროცენტი, უზრუნველყოფილია 4 მილიონზე მეტი კაცის შრომის ეკონომია.

მეცნიერ მუშაკთა რიცხვმა მილიონ 160 ათასს მიაღწია.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი მაჩვენებლის მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ტექნიკურ პროგრესს 1974 წელს:

შექმნილია ახალი ტიპის მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნიმუშები	4 ათასი დასახელების
ათვისებულია და დაიწყო ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება	3,5 ათასი დასახელების
წარმოებიდან მოიხსნა მოძველებული კონსტრუქციის მანქანები, მოწყობილობა, აპარატები, ხელსაწყოები და ნაწარმი	1,8 ათასი დასახელების
მოდერნიზებულია საწარმოო მოწყობილობა სამრეწველო საწარმოებში	დაახლოებით 150 ათასი ერთეული
დადგმულია სამრეწველო საწარმოებში:	
მექანიზებული ნაკაფური ხაზები	10 ათას კომპლექტზე მეტი
ავტომატური ხაზები	2 ათასი კომპლექტი
კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია უბნები, საამქროები, წარმოებანი	5 ათასი
ელექტრიფიცირებულია რკინიგზები	787 კილომეტრი
შექმნილია წარმოების აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები	610 სისტემა

1975 წლის 1 იანვრისათვის ხარისხის

სახელმწიფო ნიშანი აქვს	23,3 ათას ნაწარმს
აქედან 1974 წელს მიენიჭა	13,2 ათას ნაწარმს

სახალხო მეურნეობაში დაინერგა 3,9 მილიონი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც წელიწადზე გადაანგარიშებით იძლევა 4 მილიარდ მანეთ ეკონომიას.

I. მრეწველობა

სამრეწველო წარმოების მატებამ 1974 წელთან შედარებით შეადგინა 8,0 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 6,8 პროცენტის ნაცვლად. გადაჭარბებით შესრულდა მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და წარმოების გეგმა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია დაახლოებით 7 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია 1974 წელთან შედარებით გადიდდა:

ელექტროენერგეტიკა	6 პროცენტით
სათბობის მრეწველობა	6 პროცენტით
შავი და ფერადი მეტალურგია	6 პროცენტით
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	11 პროცენტით
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	12 პროცენტით
ხე-ტყის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	4 პროცენტით
საშენ მასალათა მრეწველობა	7 პროცენტით
მსუბუქი მრეწველობა	4 პროცენტით
კვების მრეწველობა	8 პროცენტით
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოება	9 პროცენტით

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 6,5 პროცენტით წლიური გეგმით გათვალისწინებული 6 პროცენტის ნაცვლად; შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია პროდუქციის მატების 84 პროცენტი. **შესრულდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგების** გეგმა; მოგება გაიზარდა 13 პროცენტით.

წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულა ყველა საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამრეწველო სამინისტრომ და ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ.

(გაგრძელება მე-2 გვ.)





ნითელდროშოვანი ჩრდილოეთის ფლოტის ფრიადოსანი ატომური წყალქვეშა ნავის ეკიპაჟს

ძვირფასო ამხანაგო წყალქვეშელებო!

თქვენმა წერილმა გულის სიღრმემდე ამაღელვა. როცა წერილს ვკითხულობდი, ვიგონებდი ჩრდილოეთისა და სამხრეთის, ბალტიის ზღვისა და შორეული აღმოსავლეთის წყალზედა და წყალქვეშა ხომალდების სამხედრო მეზღვაურებთან გულითად შეხვედრებს.

მაღალი პატრიოტული აღმავლობა ხომალდზე, რომლის შესახებაც წერილში მწერთ, ჩვენი დროის ღირსშესანიშნავი ნიშანია. ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ხასიხარულო ცნობები იმის შესახებ, რომ საბჭოთა ადამიანები პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვის პასუხად სულითა და გულით ესწრაფვიან წარმატებით შეასრულონ მეცხრე ხუთწლედი, დიადი გამარჯვების 30 წლისთავი აღნიშნონ ახალი მიღწევებით შრომის ფრონტზე, ძალ-ღონის დაუზოგავად იშრომონ შინმოუსვლელთა მაგვრადაც. დიდი სამამულო ომის მონაწილენი ამაყობენ, რომ მათი საბრძოლო გმირობა გრძელდება სამოცდაათიანი წლების მეომართა ყოველდღიური, მხედრული შრომით, კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობის შესანიშნავი საქმეებით. მუდამ იყავით ღირსნი მათი გმირული დიდებისა და უკვდავი საქმეებისა.

ფლოტის მეზღვაურებისათვის, ისევე როგორც ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალების ყველა მეომრისათვის, დამახასიათებელია მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები, კოლექტივიზმი, მეგობრობა და ამხანაგობა, ჩვენი ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულება. განაგრძეთ და კვლავაც დაუცხრომლად დაზვეწეთ საბრძოლო გაწვრთნილობა და პოლიტიკური წრთობა, აიმაღლეთ ტექნიკური და საზღვაო კულტურა, ყველა პირობებში სანამუშოდ შეასრულეთ შეიღლური მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს წინაშე.

ვუსურვებ თქვენს ეკიპაჟს, ყველა მეომარს ღირსეულად შეხვედროდეს დიადი გამარჯვების 30 წლისთავს. გამოვთქვამ რწმენას, რომ არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობა კვლავაც წმიდად დაიცავს და ამრავლებს ჩვენი ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების სახელოვან რევოლუციურ და საბრძოლო ტრადიციებს, რომლებიც ფხიზლად დაცვნან სოციალიზმის მონაპოვრების სადარაჯოზე.

მადლობას მოგახსენებთ სამშობლოს ერთგული საშსაზურისათვის.

კომუნისტური სალმით

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ფხიზლად ვიდგეგით საბრძოლო ვახტზე!

ფრიადოსანი ატომური წყალქვეშა ნავის ეკიპაჟმა, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კონტრ-ადმირალი ვ. პ. ფროლოვი, წერილი გაუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. ჩრდილოეთის ზღვის წყალქვეშელები მოახსენებენ, რომ თავდადებით მუშაობენ, რათა შესრულონ მოთხოვნა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ წაუყენა შეიარაღებული ძალების მეომრებს: „ყველაფერი, რაც ხალხს შეუქმნია, საამედოდ უნდა იყოს დაცული“. ხომალდსა არაერთხელ გამოიჩინა თავი შორეულ საოკეანო ნაოსნობაში. ყველა სარაკეტო და სატორპედო სროლაში მან ფრიადზე შეფასებანი დაიმსახურა. ეკიპაჟის მეზღვაურთა 90 პროცენტზე მეტმა მოიპოვა სამხედრო საქმის ოსტატის ან მაღალი კლასის სპეციალისტის წოდება.

ახლა ატომური რაკეტმზიდის ეკიპაჟი ემზადება ღირსეულად აღნიშნოს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავი. ფრონტელთა საბრძოლო დიდება, მათი გმირობა მეომართა ახლანდელი თაობისათვის ვაჟკაცობისა და სიმტკიცის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უშრეტი წყაროა. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად წყალქვეშელებმა გადაწყვიტეს მოიპოვონ ახალი, უფრო დიდი წარმატებანი სწავლასა და სამსახურში, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ისინი ვალდებულებას კისრულობენ გაზარდონ სამხედრო საქმის ოსტატთა რიგები, აამაღლონ იარაღისა და ტექნიკის ათვისების ეფექტიანობა, გაუმჯობესონ ეკიპაჟის საბრძოლო და საზღვაო გაწვრთნილობა.

ჩრდილოეთის ზღვის მეზღვაურნი აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კვლავაც განუხრელად ივლიან ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გზით, დაიცავენ რევოლუციურ სიფხიზლეს იმპერიალიზმის ხრიკების მიმართ და საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთიან მზყობრშია, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მეომრებთან ერთად მთელ ძალ-ღონეს, და თუ საჭირო გახდა სიცოცხლესაც მოახმარენ სოციალიზმის დიად მონაპოვართა დაცვას.

„სალუტ-4“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი. 25 იანვარი (ხაკდინი). დაიწყო ალექსი გუბარევისა და გიორგი გრეჩკოს კოსმოსური ფრენის მესამე კვირა.

ფრენის პროგრამის შესაბამისად „სალუტ-4“ სადგურში მეოთხეხმეტე სამუშაო დღე ჩვეულებრივზე ნაკლებად დაძაბული იყო. კოსმონავტებმა მოაწესრიგეს შესრულებული კვლევის შედეგები, პროფილაქტიკის მიზნით შეამოწმეს სადგურის ცალკეული სისტემები, ივარჯიშეს, დაისვენეს.

სამედიცინო კონტროლის მონაცემებით, ამხანაგები გუბარევი და გრეჩკო კარგად არიან, მეთაურის მაგისცემის სიხშირეა 62, ბორტინჟინერისა — 64 წამი, არტერიული წნევა შესაბამისად უდრის ვერცხლისწყლის სვეტის 115X65 და 120X70 მილიმეტრს.

სადგურის ნაკეთურებში მიკროკლიმატის პარამეტრები შეადგენენ: ტემპერატურა 22 გრადუსს ცელსიუსით, წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 810 მილიმეტრს, შეფარდებითი ტენიანობა 12 პროცენტს.

„სალუტ-4“ სადგურის ეკიპაჟის მორიგი სამუშაო დღე დაიწყო დღეს 12 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით.

სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ, ფრენა გრძელდება.

ტელეტაიპის ლენტიდან

ბერლინი. როგორც მონტევიდეოდან იუწყებიან, ურუგვაის ხელისუფლებამ დაპატიმრეს და უკვე ათი დღეა პოლიციის დილეგში ჰყავთ ადნი-ს საგენტოს კორესპონდენტი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ვილი იზრაელი.

ათენი. ეროვნული თავდაცვის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის ა. პაპანიკოლაუს გადაყენების შესახებ. როგორც პრესის ცნობები მოწმობენ, ივი 1973 წლის 25 ნოემბრის სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ახალ სარდლად დანიშნულია გენერალი პერიკლის იკონომუ.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესს სარატიფიკაციოდ გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის კონვენცია, რომელიც ორ ქვეყანას შორის აწესრიგებს გადასახადის შეწერის წესებს.

კონვენციას ხელი მოაწერეს 1974 წლის 8 ოქტომბერს ვაშინგტონში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის ვიზიტის დროს. როგორც ჯ. ფორდმა თქვა, მან უნდა წაასალისოს „ორი ქვეყნის ორმხრივი ვაჭრობისა და კაპიტალდაბანდების განვითარებისადმი მზარდი ინტერესი“.

ლონდონი. ინგლისის კვიპროსის სამხედრო ბაზებიდან კვიპროსელი თურქების ევაკუაცია თურქეთში აყენებს კუნძულზე თვით ამ ბაზების არსებობის საკითხს, განაცხადა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა.

(ხაკდინი, 25 იანვარი).

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხუთწლედის ძაღლავრი ნაბიჯები

(გაგრძელება)

ცალკეულ სამინისტროებში პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინეს:

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები	პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1974 წელი პროცენტობით 1973 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის	102	107	106
ნავთობის მრეწველობისა	102	107	106
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	101	109	107
გაზის მრეწველობის	103	119	111
ქვანახშირის მრეწველობის	101	103	105
შავი მეტალურგიის	100,2	105	104
ფერადი მეტალურგიის	100,7	106	106
ქიმიური მრეწველობის	101	111	109
მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	100,7	106	106
ელექტროტექნიკური მრეწველობის	102	109	107
ქიმიური და ნავთობქიმიური მანქანათმშენებლობის	102	109	107
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობისა	101	111	108
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემებისა	102	117	113
საავტომობილო მრეწველობის	103	112	110
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა	101	114	111
მეცხოველეობისა და საკვების წარმოების მანქანათმშენებლობისა	102	111	109
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობისა	102	109	108
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობისა	100,6	109	106
ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობისა	101	104	105
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობისა	100,4	106	105
სშენ მასალათა მრეწველობისა	100,7	108	106
მსუბუქი მრეწველობისა	100,7	104	103
კვების მრეწველობისა	101	108	107
ხორცისა და რძის მრეწველობისა	102	109	107
თევზის მეურნეობისა	101	106	104
დამზადებისა	102	104	103
სამედიცინო მრეწველობისა	102	110	109
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	102	123	113

ქვეშოთ მოყვანილია მონაცემები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით. (მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა):

	პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1974 წელი პროცენტობით 1973 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
რუსეთის სფსრ	101,6	107,8	106,6
უკრაინის სსრ	101,6	107,6	105,9
ბელორუსიის სსრ	102,1	109,9	107,6
უზბეკეთის სსრ	103,6	108,7	104,0
ყაზახეთის სსრ	101,2	108,2	106,4
საქართველოს სსრ	102,7	110,3	108,7
აზერბაიჯანის სსრ	102,2	111,3	108,2
ლატვის სსრ	102,4	107,2	105,9
მოლდავეთის სსრ	101.7	111,0	107,3
ლატვის სსრ	102.0	105,6	105,1
ყირგიზეთის სსრ	101,9	108,3	105,5
ტაჯიკეთის სსრ	103,5	105,2	102,3
სომხეთის სსრ	103,0	110,4	107,2
თურქმენეთის სსრ	102,5	107,0	104,5
ესტონეთის სსრ	101,7	107,1	106,9

გრძელდებოდა წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფა და ინტენსიფიკაცია. სათბობის ხვედრითი ხარჯი ელექტროსადგურებში 1973 წელთან შედარებით 1,1 პროცენტით შემცირდა. ქვანახშირის შახტებში მოქმედი საწმენდი სანგრეველიდან ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო ამოღება 6 პროცენტით გაიზარდა. შავ მეტალურგიაში ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენება 2 პროცენტით გაუმჯობესდა, მარტენის ღუმელების ქვედის ერთ კვადრატულ მეტრზე ფოლადის საშუალო სადღეღამისო ანარეკი 2 პროცენტით გაიზარდა. ცემენტის მრეწველობაში მბრუნავი ღუმელების საათობრივი შწარმოებლობა გადიდდა 3 პროცენტით, წისქვილებისა — 2 პროცენტით. გაიზარდა სართავი და საქსოვი მოწყობილობის მწარმოებლობა საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში. შეიქმნა წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მართვის 150 ავტომატიზებული სისტემა, ანუ 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1973 წელს.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ მთლიანად ქვეყანაში შეადგინა:

	1974 წელი	1974 წელი 1973 წელთან შედარებით: წარმოებული ნაწილში, ბი (—)	პროცენტობით
ელექტროენერგია — მილიარდი კილოვატსაათი	975	60	107
ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით) — მილიონი ტონა	459	29,9	107
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	261	24,2	110
ქვანახშირი — მილიონი ტონა	684	16,9	103
თუჯი — მილიონი ტონა	99.9	3,9	104
ფოლადი — მილიონი ტონა	136	4,7	104
შავი ლითონების ნაგლინი — მილიონი ტონა	109	4,6	104
მათ შორის მზა ნაგლინი	94,2	2,8	103
ფოლადის მილები:			
მილიარდი მეტრი	2.3	0,1	103
მილიონი ტონა	15,0	0,6	104
რკინის მადანი — მილიონი ტონა	225	8,8	104
მინერალური სასუქები — მილიონი ტონა:			
პირობითი ერთეულებით	80,3	8,0	111
ყუათიან ნივთიერებათა 100-პროცენტიან შემცველობაზე გადაანგარიშებით	19,3	1	911
მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებანი — ათასი ტონა:			
პირობითი ერთეულებით	387	48,8	114
საწყისის 100-პროცენტიანი	232	31,9	116
მოქმედი გადაანგარიშებით			
100-პროცენტიანი კალცინირებული სოდა — მილიონი ტონა	4,5	0,3	108
100-პროცენტიანი კაუსტიკური სოდა — მილიონი ტონა	2.2	0,2	108
გოგირდმჟავა — მილიონი ტონა	16,7	1,8	112
სინთეტიკური ფისები და პლასტიკური მასები — მილიონი ტონა	2,5	0,2	107
ქიმიური ბოჭკოები და ძაფები — ათასი ტონა	887	57,1	107
ავტომობილები — მილიონი ცალი	47,1	4,8	111
სინთეზური სარეცხი საშუალებანი — ათასი ტონა	654	43,7	107
ტურბინები—მილიონი კილოვატი	17,3	2,1	114
ტურბინის გენერატორები— მილიონი კილოვატი	16,0	—0,4	97
ცვლადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	44,0	2,4	106
ლითონსაჭრელი ჩარხები:			
ათასი ცალი	225	11,1	105
მილიონი მანეთისა	1386	129	110
ლითონსაჭრელი ჩარხების სიერთო რაოდენობიდან — რიცხობრივი პროგრამული მართვის			
ჩარხები — ათასი ცალი	4,4	0,6	116
საამქროები — საწარმო მანქანები:			
ათასი ცალი	49,0	2,5	105
მილიონი მანეთისა	369	42,5	113
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები — მილიარდი მანეთისა	3,8	0,5	114
გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებანი და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიარდი მანეთისა	2,2	0,6	134
მეტალურგიული მოწყობილობა — ათასი ტონა	339	—3,1	99,1
ქვანახშირსაწმენდი კომბაინები — ცალი	1127	70	107
გვირაბგამყვანი კომბაინები — ცალი	483	32	107
ნავთობაპარატურა — ათასი ტონა	172	13,5	109
გემბანური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	607	64,4	112
მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	629	69,2	112
კვების, ხორცისა და რძის და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	456	42,9	110
სამგზავრო თბომავლები:			
სექციები	1434	19	101
ათასი ცხენის ძალა	4007	186	105
სამგზავრო ელმავლები:			
ცალი	358	4	101
მილიონი ცხენის ძალა	2,7	0,1	105
სატვირთო სამგზავრო ვაგონები — ათასი ცალი	72.4	0.6	100.9
ავტომობილები — ათასი ცალი	1846	244	115
მათ შორის:			
სატვირთო	666	36,8	106
მსუბუქი	1119	203	122
ტრაქტორები:			
ათასი ცალი	531	31,5	106
მილიონი ცხენის ძალა	38,7	2,4	107
ტრაქტორის მისაბმელები — ათასი ცალი	308	4,3	101
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — მილიონი მანეთისა	3465	485	116
მათ შორის მეცხოველეობაში, მეფრინველეობისა და საკვების დამზადებაში სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო მანქანები და მოწყობილობა	1363	173	114
კომბაინები — ათასი ცალი:			
მარცვლასალები	88,4	3.5	104
სამინდის ასაღები	10,1	1,0	111
კარტოფილის ასაღები	8,8	—	100
პარბლის ასაღები	15.8	1,7	112
სილოსის ასაღები	8,4	8,3	114
ბამბის ასაღები მანქანები (ფიზიკური ერთეული) — ათასი ცალი	7,4	0,7	110
ექსკავატორები — ათასი ცალი	37,1	1,2	103
ბულდოზერები — ათასი ცალი	47,2	1,5	103
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ დამზადებული ხეტყის გარდა) — მილიონი კუბური მეტრი	296	0,6	100,2
ცელულოზა — მილიონი ტონა	6,3	0,3	104
ქაღალდი — მილიონი ტონა	5,0	0,1	103
მუყაო — მილიონი ტონა	3,2	0,2	106
ცემენტი — მილიონი ტონა	115	5,6	105
ისაწყობი რკინა-ბეტონი — მილიონი კუბური მეტრი	108	4,8	105
შიფერი — მილიარდი პირობითი ფილა	7,4	0,4	106
რბილი სახურავი მასალები და იზოლი — მილიარდი კვადრატული მეტრი	1,7	0,1	108
ყველა სახეობის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი:	9825	148	102
მათ შორის:			
ბამბისა	6619	41,5	100,6
შალისა	724	20,2	103
სელისა	796	0,9	100,1
აბრეშუმისა	1412	67,7	105
შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთისა	18,1	0,6	103
ტრიკოტაჟის საცვალი — მილიონი ცალი	919	18,8	102
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	467	7,5	102
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	684	17,7	103
ხორცი — სულ — მილიონი ტონა	14,5	1,0	107
აქედან სამრეწველო გამომუშავება	9,4	1.0	112
ძეხვეული — მილიონი ტონა	2,8	0,2	106
საკმელი თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვი — მილიარდი მანეთისა	3,6	0,1	103
კარაქი — ათასი ტონა	1260	21,4	102
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — მილიონი ტონა	23,1	1,9	109
რძის ფხვნილი და ნაღების ფხვნილი — ათასი ტონა	307	29,1	110
ეგზემპლიარი ყველი — ათასი ტონა	572	35,2	107
შაქრის ფხვნილი—მილიონი ტონა	9,4	1,3	88
მცენარეული ზეთი—მილიონი ტონა	3,4	0,8	128
საკონდიტრო ნაწარმი— მილიონი ტონა	3,3	0,1	104
ნატურალური ჩაი (ხარისხოვანი) — ათასი ტონა	126	9,6	108
კონსერვი — მილიარდი პირობითი ქილა	14	1,1	109
საბონი — მილიონი ცალი	50,6	3,1	107
ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი— მილიონი ცალი	928	94,0	111
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლის) — მილიონი მანეთისა	293	38,7	113
რადიომიმღებები და რადიოლები — მილიონი ცალი	8.8	0,1	102
ტელევიზორები — მილიონი ცალი	6,6	0,3	105
მაცივრები — ათასი ცალი	5442	18,7	100,3
სარეცხი მანქანები — მილიონი ცალი	3,1	0,1	103
ელექტრომტვერსასრუტები — მილიონი ცალი	3,3	0,7	125
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	960	28	103
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები — მილიონი ცალი	4,8	0,1	101
ბალეში — მილიარდი მანეთისა	4,0	0,3	108

გაიზარდა ფერადი და იშვიათი ლითონების, ნავთობქიმიის, ნავთობგადამამუშავების პროდუქციებისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება.

გაიზარდა უმნიშვნელოვანესი სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილი მარაგი.

მრეწველობის მუშაობაში იყო მთელი რიგი ნაკლოვანებანიც. საწარმოთა ნაწილმა ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და დაგროვების დადგენილი დავალებანი. მთლიანად ვერ შესრულდა კაუსტიკური სოდის, გოგირდმჟავას, ნავთობაპარატურის, მარცვლასალების კომბაინების, სამასალე მერქნის, ცელულოზის, მუყაოს, ცალკეულ სახეობათა ქსოვილების, სასაცვლე და ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, საკვების თევზის პროდუქციის, სარეცხი მანქანებისა და ზოგიერთ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა; ყველგან როდი უზრუნველყოფილი იყო საჭირო ასორტიმენტისა და სათანადო ხარისხის ნაწარმს. ბევრი საწარმო ჯერ კიდევ სრულიად არ იყენებს წარმოების შემდგომი გადიდების რეზერვებს. ნაკლოვანებანი საწარმოო სიმძლავრეების, სამუშაო დროის, ნედლეულის გამოყენებაში, ზოგიერთი ახლად ამოქმედებულ ობიექტზე მიდწეული არ არის პროდუქციის წარმოების, თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების საპროექტო მაჩვენებლები. მთლიანად არ არის შესრულებული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის მთელი რიგი დავალებანი.

II. სოფლის მეურნეობა

1974 წელს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ამინდის რთულ პირობებში აიღეს 195,6 მილიონ ტონა მარცვლეული. მიღებულია ხამი ბამბისა და მთელი რიგი სხვა კულტურების კარგი მოსავალი. გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოება.

მოწათმოქმედების ძირითადი პროდუქტების წარმოებამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში შეადგინა (მილიონი ტონა):

	საშუალოდ წელიწადში 1966-1970 წ.წ.	1971-1973 წ.წ.	1974 წ.
მარცვლეული	167,6	190,6	195.6
ხამი ბამბა	6,10	7,35	8.41
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	81,1	78,6	76,4
მზესუმზირა	6.39	6,03	6,76
კარტოფილი	94.8	93.1	80,7
ბოსტნეული	19.5	22.2	23,1

მარცვლეულის წარმოება გასულ წელს აღემატებოდა წინა წლების მოსავალს, მაგრამ რამდენადმე ნაკლები იყო, ვიდრე 1973, ყველაზე მოსავლიან წელს.

ძირითადი მარცვლეული კულტურის — ხორბლის, მოსავლმა შეადგინა 83,8 მილიონი ტონა, სიმინდის მოსავლმა — 12,1 მილიონი ტონა.

მოწეულია ბრინჯის რეკორდული მოსავალი — 1,9 მილიონი ტონა.

სახელმწიფო რესურსებს შეეძატა 73 მილიონ ტონახე მეტი მარცვლეული, რაც მეტია, ვიდრე საშუალოდ იყო ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე.

მარცვლეულის წარმოებაში დიდი წვლილი შეიტანეს ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ცენტრის, უკრაინის სსრ რესპუბლიკის მშრომელებმა. უჭი მოსავალი მოიწიეს ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

1974 წელს 1973 წლის წარმატება განმტკიცეს და გაიძრაგლეს მებამბეებმა. სახელმწიფომ მიიღო 8.4 მილიონი ტონა ხამი ბამბა. რაც უმაღლესი მიღწეულია სამამულო მებამბეობის ისტორიაში. უზბეკეთის სსრ რესპუბლიკის მეურნეობებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 5.3 მილიონი ტონა. მილიონ ტონაზე მეტი ჩაბარეს თურქმენეთის სსრ რესპუბლიკის მეურნეობებმა. ხამი ბამბის უხვი მოსავალი მოიწიეს ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის სსრ რესპუბლიკებში.

წარმოებს მუშაობა 1975 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის გადიდების უზრუნველსაყოფად. საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ნათესმა ფართობმა მიმდინარე წლის მოსავლისათვის შეადგინა 33.7 მილიონი ჰექტარი; მზრალად მოხნულია 116.2 მილიონი ჰექტარი — 11 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1973 წელს.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაზაფხულ მზადება 1975 წლის საგაზაფხულო თესვისათვის. მეურნეობანი უზრუნველყოფილი არიან საგაზაფხულო კულტურების თესლით. მეტწილ მეურნეობებში უზრუნველყოფილია თესლის სათესი კონდიცია, მრავალფეროვან ფართობებზე მოეწყო ტენსაგროვებელი ღონისძიება; გაშალა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მასობრივი რემონტი; ყანებში გატანილია მეტი სასუქები, ვიდრე გასული წლის მოსავლისათვის.

უზრუნველყოფილია პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდა და პროდუქტიულობის ამაღლება.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ შეადგინა (მილიონი სული):

	1 იანვრისათვის 1974 წ.	1975 წ.	1975 წელი პროცენტობით 1974 წელთან შედარებით
ყველა კატეგორიის მეურნეობანი			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	106.3	109,1	103
აქედან ძროხა	41.5	41,9	101
ღორი	70,0	72.2	103
ცხვარი და თხა	148,5	151,1	102
კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	81,7	84.6	104
აქედან ძროხა	27,0	27,7	103
ღორი	56.4	58.6	104
ცხვარი და თხა	116.4	119,3	102

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ყველა კატეგორიის მეურნეობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	საშუალოდ წელიწადში 1966-1970 წ.წ.	1971-1973 წ.წ.	1974 წ.
ხორცი (ნაკლავის წონა) — მილიონი ტონა	11,6	13.5	14,5
რძე — მილიონი ტონა	80,6	84.9	91,8
კვერცხი — მილიარდი ცალი	35,8	48.1	55.0
მატყლი — ათასი ტონა	398	427	461

1974 წელს ხორცის წარმოების მოცულობამ 1973 წლის დონეს გადააჭარბა 7,3 პროცენტით, რძისამ — 4 პროცენტით, კვერცხისამ — 7 პროცენტით, მატყლისამ — 6.4 პროცენტით.

თვითეული ძროხის საშუალო წველადობა ამავე პერიოდში გაიზარდა 2 პროცენტით, მოქცეულის კვერცხმდებლობა — 3 პროცენტით.

ამასთანავე მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა ნელა იზრდებოდა. მთლიანად ვერ შესრულდა საკვების დამზადების გეგმები; ჯერ ისევ მაღალი შრომისა და სახსრების დანახარჯები; საქმრისი არ არის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია ფერმებში.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

	საშუალოდ წელიწადში 1966-1970 წ.წ.	1971-1973 წ.წ.	1974 წ.
პირტყვი და ფრინველი — მილიონი ტონა:			
ცოცხალი წონა	11,6	14.6	16.2
ნაკლავის წონაზე გადაანგარიშებით	7.3	9.5	10.6
რძე — მილიონი ტონა	43.2	49.5	55.8
კვერცხი — მილიარდი ცალი	14.4	24.5	30,9

პირუტყვის, ფრინველის, რძისა და კვერცხის შესყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა. 1974 წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აწვდიდნენ უფრო მეტი ნასუქობის მსხვილ რქიან პირუტყვს. სახელმწიფოსათვის მიყიდული ერთი სულის საშუალო წონამ მიაღწია 334 კილოგრამს, რაც 6 პროცენტით მეტია, ვიდრე 1973 წელს. გადიდებულ წონით კონდიციათა მოზარდეულის წილმა 1974 წელს შეადგინა მოზარდეულის მთელი გაყიდვის თითქმის მესამედი, 1973 წლის 21 პროცენტთან შედარებით.

კოლმეურნეობათა მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 24 მილიარდამდე მანეთი. რაც დაახლოებით 1973 წლის დონეზეა. მაგრამ 5 პროცენტით მეტია, ვიდრე იყო საშუალოდ 1971-1973 წლებში.

საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად მოგებით დაამთავრეს წელი.

სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობდა 1974 წლის დამლევისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა საბჭოთა მეურნეობის 80 პროცენტზე მეტი.

ეფექტიანობა ფეურნეობათაშორისი კორპორაციისა სოფლად. მეურნეობათაშორისო ორგანიზაციების რიცხვმა, რომელთა საქმიანობაში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მონაწილეობენ, 1974 წლის დამლევისათვის 5.6 ათასს გადააჭარბა.

კიდევ უფრო გაფართოვდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებებმა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით შეადგინა 28.4 მილიარდი. მანეთი, აქედან სახელმწიფოს კაპიტალურმა დაბანდებამ — 18.4 მილიარდი მანეთი და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებამ — 10 მილიარდი მანეთი. 1973 წელთან შედარებით სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებანი 9 პროცენტით გაიზარდა.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობიდან საირიგაციო-სამელიორაციო მშენებლობაში სახელმწიფომ და კოლმეურნეობებმა დაბანდეს 5.8 მილიარდი მანეთი, ანუ 11 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს.

გასულ წელს სოფლის მეურნეობისათვის მიწოდებულია 25 მილიონი ცხენის ძალის სიმძლავრის 347 ათასი ტრაქტორი, 251 ათასი სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 83 ათასი მარცვლის ასაღები, 16 ათასი ჭარხლის ასაღები, 63 ათასი სილოსის ასაღები, 10 ათასი სიმინდის ასაღები და 12 ათასი კარტოფილის ასაღები კომბაინი, 7 ათასზე მეტი ბამბის საკრეფი მანქანა, 210 ათასი სათესელი, 124 ათასი მინერალური და ორგანული სასუქების მომბნევი მანქანა, 16 ათასი უნივერსალური სასუქშემტანი-შემსხლორავებელი მანქანა, 23 ათასი დასაწვიმებელი მანქანა და დანადგარი, 30 ათასი წნეხ-ამკრეხი, 84 ათასი უნივერსალური სატრანსპორტო, 58 ათასი საწველი დანადგარი და ბევრი სხვა მანქანა და მექანიზმი.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 60.9 მილიონი ტონა მინერალური სასუქები: ანუ 5.4 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1973 წელს, და 2 მილიონ ტონაზე მეტი ხაკვები ფოსფატები ანუ 528 ათასი ტონით მეტი.

სოფლის მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანეს სახეობათა ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და ხაკვები ფოსფატების მიწოდების გეგმა შესრულებულია [illegible] ... ნებისა და კალიუმის სასუქების მიწოდების გეგმა.

ტყის აღდგენის სამუშაოები მოეწყო 2,3 მილიონ ჰექტარ ფართობზე, მათ შორის დათესა და ტყე დაირგო 1,3 მილიონ ჰექტარზე, მოეწყო ხრამების, ღელეების, ქვიშრობისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სხვა მოუმარჯვებელი მიწების გამაგრება და მოტყეფება 250 ათას ჰექტარზე.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ შეადგინა 4,5 ტრილიონი ტონა-კილომეტრი და წინა წელთან შედარებით 6,5 პროცენტით გაიზარდა. ტვირთბიდვის გეგმა ვადამდე შეასრულეს რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტმა. ავიაგადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის საერთო მოცულობის გეგმა შეასრულა საჰაერო ტრანსპორტმა. მგზავრთბრუნვამ შეადგინა 700 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი და 6.5 პროცენტით გადიდდა.

ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით წლიური გეგმის შესრულების აღსანიშნავს შემდეგი მონაცემები:

	შესრულდა 1974 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1974 წელი პროცენტობით 1973 წელთან შედარებით
ტვირთბრუნვა—მილიარდი ტონა-კილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი —	3097	103	105
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	212	105	112
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	89	104	110
ნავთობსადენი ტრანსპორტი	533	100,6	121
ტვირთბიდვა—მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	3480	101	105
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	452	105	108
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	5023	103	109
ნავთობსადენი ტრანსპორტი	457	101	108

საზღვაო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა საკაბოტაჟო საზღვაოგარეთის ნაოსნობაში ტვირთბიდვის გეგმა. ტვირთბრუნვა და ტვირთბიდვა ყველა სახეობის ნაოსნობის დროს გაიზარდა 3 პროცენტით. დაჩქარდა გემების დატვირთვა-გადმოტვირთვა საბჭოთა ნავსადგურებში, მაგრამ გემების მოცდენა კვლავაც დიდი იყო.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთბრუნვისა და ავიატვირთბიდვის საერთო მოცულობის გეგმა; გადაყვანილია 90 მილიონი მგზავრი. წინა წელთან შედარებით მგზავრთბრუნვა გაიზარდა 10 პროცენტით, მგზავრთა ვადაყვანა — 7 პროცენტით და ავიატვირთბიდვის საერთო მოცულობა — 9 პროცენტით. სახალხო მეურნეობის დარგებში ავიაციის გამოყენების სამუშაოთა გეგმა გადაჭარბებით შესრულდა; ამ სამუშაოთა მოცულობა წლის მანძილზე 13 პროცენტით გაიზარდა.

რკინიგზის ტრანსპორტმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის წლიური გეგმა. პრაქტიკულად დამთავრდა რკინიგზების გადაყვანა საელექტროო და სამამამავლო წევაზე. გაიზარდა მასობრივი ტვირთის გადაზიდვა მარშრუტებით და ტვირთისა კონტეინერებით. გადაჭარბებით შესრულდა ტვირთბიდვაზე დასაქმებული მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი. შემცირდა ტვირთზიდვის თვითღირებულება. შესრულდა ლოკომოტივის საშუალო საღღეღამისო მწარმოებლობის გეგმა. საერთო ეიგონის საშუალო საღღეღამისო მწარმოებლობა 1973 წელთან შედარებით რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ წლიური გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა. მგზავრთბრუნვა წლის მანძილზე გაიზარდა 3 პროცენტით, მაგრამ გეგმა ვერ შესრულდა. მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ვაგონების მოცდენა სატვირთო ოპერაციების დროს აღემატებოდა დადგენილ ნორმებს.

ხამდინარო ტრანსპორტმა შეასრულა ბევრი დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის წლიური გეგმა; მთლიანად ვერ შესრულდა ფერადი ლითონების მადნისა და კოგილრის ნედლეულის, ცემენტის, პუროეულისა და ზოგიერთი სხვა ტვირთის გადაზიდვის გეგმა.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა მგზავრთბრუნვის გეგმა შეასრულა 101 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანა ავტობუსებით წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით, მსუბუქი ტაქსომოტორებით — 8 პროცენტით. ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობა გაიზარდა 10 პროცენტით. სატვირთო ავტომობილების მწარმოებლობა — 5 პროცენტით. გადიდდა ტვირთზიდვა საერთაშორისო შიმოსვლაში. მაგრამ ჯერ კიდევ დიდია ცარიელი სატვირთო ავტომობილების ვირბენები ... მოცდენა.

მოგება მთლიანად ყველა სახეობის ტრანსპორტზე გაიზარდა 15 პროცენტით. მოგების გეგმა შესრულდა.

კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობამ (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო) შეასრულეს კავშირგაბმულობის პროდუქციის საერთო მოცულობის წლიური გეგმა; 1973 წელთან შედარებით პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 8 პროცენტით. მოგების გეგმა შესრულებულია.

IV. კაპიტალური მშენებლობა

გაბმულ წელს აშენდა და ექსპლუატაციაში გადაეცა ბევრი ახალი საწარმო, საწარმოო კომბინატი, საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

ახალ საწარმოთა მშენებლობის, მოქმ

ხუთწლედის ძალავრი ნაბიჯები

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული).

მეორე ენერგობლოკმა. ჩელიაბინსკის ოლქის ტროიცკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურსა და ლენინგრადის ატომურ ელექტროსადგურში ამოქმედდა ტურბინები თვითეული 500 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. მოსენერგოს № 21 თბოელექტროცენტრალსა და კიევის № 5 თბოელექტროცენტრალში საექსპლოატაციოდ მიღებულია თბოფიკაციის ტურბინები თვითეული 250 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. მოქმედ თბოელექტროსადგურებში ამოქმედდა 12 ენერგობლოკი, თვითეული 200-300 ათასი კილოვატი სიმძლავრისა; მერვე ენერგობლოკის ამოქმედების შემდეგ ლუყომლის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა მიიღწია 2,4 მილიონ კილოვატ საპროექტო სიმძლავრეს.

ნავთობგადამმუშავებელ, ნავთობქიმიურ და გაზის მრეწველობაში ახალი სიძლიერეები ნოვოკუიბიშევის, ახგაოისა და ომსკის კომბინატებში, კირიშის, კრემენჩუგის, პოლოცკის, ნოვოუფამსკის, გროზნოს შერეპოვის სახელობის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში, ნოვეკამსკის სალტის ქარხანაში, ბელაია ცერკოვის სალტეებისა და რუხინ-აზბესტის ნაკეთობათა კომბინატში. მწყობრში ჩადგა ორენბურგის უდიდესი გაზგადასამუშავებელი ქარხნის პირველი რიგი.

ამოქმედდა **მაგისტრალური გაზსადენი** — ტიუმენის ოლქის ჩრდილოეთი რაიონები — ცენტრი, რომლის სიგრძე 2,5 ათას კილომეტრს აღემატება.

ქვანახშირის მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა დონეცკის ოლქის შახტის „კრასნოარმეისკაია კამენტალნაია“ პირველი რიგი; ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკები: № 1 „ზაპადნოდონბასსკაია“ — დნიპროპეტროვსკის ოლქში, „კრასნაია ზარია“ — დონეცკის ოლქში.

შავ მეტალურგიაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მსრეფლაოში უდიდესი, წელიწადში 4 მილიონი ტონა მწარმოებლობის № 9, ბრძოლედი კოიეი რიგის მეტალურგიულ ქარხანაში, წელიწადში 3 მილიონ ტონა ფოლადის სიმძლავრის № 2 ფანგბად-კონვერტორული საამქროს პირველი რიგი დასავლეთ ციმბირის მეტალურგიულ ქარხანაში, ბლუმინგი „1500“ ნიკოპოლის კომბინატში და „950-900“ სანამზადო დგანი დონეცკის მეტალურგიულ ქარხანაში; საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინის მადნის მოპოვების ახალი სიმძლავრენი მიხაილოვსკის, ნოვოკრივოროგსკის, ინგულეცისა და ლისიკოვსკის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატებში.

ფერად მეტალურგიაში მწყობრში ჩადგა საქართველოს სსრ მადნეულის სამთო-კამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგი, ბაყურთოვდა ყაზახეთის სსრ ნორილსკსა და ყენზაღლინის სამთო-მეტალურგიული კომბინატებისა და „სევერონიკელის“ კომბინატის, კრასნოიარსკისა და ბრატსკის ალუმინის ქარხნებისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების სიმძლავრეები.

ქიმიურ მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია ნოვომოსკოვსკაია სინთეზური ამიაკისა და სევეროდონეცკის ქიმიური კომბინატების მსხვილი კომპლექსები, ვოსკრესენსკის რთული მინერალური სასუქების ქიმიური კომბინატისა და კომელის ქიმიური ქარხნის სიმძლავრეები, კუბიშევის აზოტიანი სასუქების ქარხანაში — კაპროლაქტამის საწარმოო სიმძლავრეები.

მანქანათმშენებლობაში გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შედეგად გაიზარდა სიმძლავრეები მოქმედ მახალასამშენებელო საწარმოებში, კერძოდ, ურალის სვერდლოვსკის ტურბომოტორის ქარხანაში, ხარკოვის ტრაქტორის ქარხანაში; უდაურტეთის ასსრ გლაზოვისა და ბორკის ოლქის ძერჟინსკის ქიმიურ მანქანათმშენებელ ქარხნებში; კრასნოდარისა და ორენბურგის ჩარხსამშენებელ ქარხნებში, ლვოვისა და ბორკის სადარეკი ჩარხების ქარხნებში, ასტრახანის სამკედლო-საწყენი მოწყობილობის ქარხანაში და სხვ.

ხისდამამუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია ცელულოზის საწარმოო სიმძლავრეები ბრატსკის ხე-ტყის მრეწველობის კომბინატში, ქაღალდის საწარმოო სიმძლავრეები ხერსონის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში. გაიზარდა ავეჯის საწარმოო სიმძლავრეები.

საშენ მასალათა მრეწველობაში მწყობრში ჩადგა ჩერნეთი-ინგუშეთის ცემენტის ქარხანა, ახალი ტექნოლოგიური ხაზები კრასნოიარსკისა და ლიტვის სსრ აკმიანეს ცემენტის ქარხნებში, სარატოვის ოლქის ცემენტის ქარხანა „ბოლშევიკში“. ავრეთვე გაზარდა შიფერის, რბილი სახურავი მასალების, გასათბობი მოწყობილობის, სორტული აზბესტის, მოსამარკეთებელი ფილების ეიმქმედი ქარხნების სიმძლავრეები.

მსუბუქ მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია დონეცკის ბამბეულის კომბინატის მეორე საქსოვი ფაბრიკა, როსტოვის ოლქის შატის ბამბეულის კომბინატის მეორე საქსოვ-საქსოვი ფაბრიკა, თურქმენეთის სსრ ქალაქ მარის ტყავის ქარხანა, ნორთის წარმოების სიმძლავრეები გროზნოს ძაფის საქსოვ კომბინატში, ფაიფურ-ქაშანურის ნაწარმის სიმძლავრეები სვერდლოვსკის ოლქის ბოგდანოვიჩის ქარხანაში.

გაიზარდა მრეწველობის კვების დარგების სიმძლავრეები. მწყობრში ჩადგა ყაზახეთის სსრ ალაკულის შაქრის ქარხანა, დონის როსტოვის ლუდის ქარხანა, უზბეკეთის სსრ დაბა კიბრაის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომბინატი, ზაპოროჟიეს ოლქის ქალაქ ბოლოგის ზეთექსტრაქციული ქარხანა, მოლდავეთის სსრ ქალაქ უნგენის საკონსერვო ქარხანა, ერევნის რძის კომბინატი, უკრაინის სსრ ქალაქ ალექსანდროისა და ესტონეთის სსრ ქალაქ ვიბმის ხორცის კომბინატები, ცხინვალოცლილი რძის ფხვნილის ახალი ქარხნები, კარაქისა და ყველის ქარხნები, პურის ქარხნები და სხვა საწარმოები.

სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების სახსრებით საექსპლოატაციოდ გადაცემულია 4,3 მილიონ სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, 3,7 მილიონ ღორის, 5,6 მილიონი ცხვრის მეცხოველეობის სადგომები და 23 მილიონი ფრთა ფრინველის სადგომები.

ამოქმედდა 1,1 მილიონი სული ღორის გამოსაზრდელი და გასასუქებელი მსხვილი სახელმწიფო მეცხოველეობის კომპლექსები, მათ შორის, კრასნოდარის მხარის ტიმაშევსკის, კუიბიშევის ოლქის ალექსეევსკის, სვერდლოვსკის ოლქის პერმისა და ლაისკის, კემეროვოს ოლქის სიდოროვსკის, ჩელიაბინსკის ოლქის უგლესკის წელიწადში თვითეული 108 ათასი ღორის გამოსაზრდელი და გასასუქებელი კომპლექსები, კომპლექსი „ბულბოკი“ მოლდავეთის სსრ რესპუბლიკაში წელიწადში 54 ათასი ღორის გამოსაზრდელად და გასასუქებლად. საექსპლოატაციოდ გადაცემულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის გამოსაზრდელი და გასასუქებელი მეცხოველეობის კომპლექსები საბჭოთა მეურნეობებში: კიევის ოლქის „პეტროვსკის“, ალმა-ათის ოლქის ფრუნზეს სახელობის, ტაშკენტის ოლქის № 7, ბრესტის ოლქის „შშვიდობის“ საბჭოთა მეურნეობებში, თვითეული წელიწადში გამოზრდის და გასუქებს 10 ათას სულ მოზარდეულს.

წელიწადში მეფრინველეობის ფაბრიკებს შეეფარება 11 მილიონი მოქცეულის გამოსაზრდელი სიმძლავრეები, ხოცის მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკებს 26 მილიონი ფრინველის გამოსაზრდელი სიმძლავრეები.

„საკოოფტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციებში ამოქმედდა 0,6 მილიონი ტონა ერთდროული შენახვის მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და კირის მასალების საწყობები, აშენდა ახალი და გაფართოვდა მოქმედი სარემონტო საწარმოები წელიწადში 133 ათასი პირობითი კაპიტალური რემონტისათვის.

საექსპლოატაციოდ გადაცემულია მილიონ ჰექტარზე მეტი ახალი სარწყავი მიწები, მათ შორის მორწყული 500 ათასი ჰექტარზე მეტი კულტურული საძოვრები. ამაშადა სტეპოობოლის დიდი არხის მეორე რიგი, აშენდა მდინარე დონზე ნიკოლაევსკის ჰიდროკვანძის ძირითადი ნაგებობანი, დამთავრდა ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში ურალ-ეულშეის გასაწყლოფაბელ-სარწყავი სისტემა. ამოშრობილია 800 ათას ჰექტარზე მეტი და გადამეტენიანებული და დაჭაობებული მიწები. გაწყლიანების სამუშაოები შესრულებული 9,5 მილიონ ჰექტარ სანოვრებზე. რუსეთის სფსრ არაშავმოწანიდაგიან ზონაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 320 ათასი ჰექტარი მელიორირებული მიწები.

კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შეადგინეს 105,7 მილიარდი მანეთი. 1973 წელთან შედარებით მთელი კაპიტალური დაბანდება გაიზარდა 7 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გაიზარდა 5,9 პროცენტით.

საიჯარო სამუშაოთა მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით; საიჯარო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით.

ქვემოთ მოყვანილია საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობის გეგმის შესრულება და ზრდის ტემპი ცალკეულ სამინისტროებში.

	საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1974 წელი პროცენტობით 1973 წელთან შედარებით	
		საიჯარო სამუშაოთა მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	97	105	105,9
სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტრო	93	105	105,5
სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრო	93	104	103,9
სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	98	107	105,9
სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო	100,4	105	105,6
ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	100,7	109	105,5
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო	99,6	105	105,8
სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	99	110	106,4
სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრო — სულ	103	107	106,6
მათ შორის სუბსაიჯარო ხელშეკრულებებით	97	104	

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 9 პროცენტით.

1974 წელს **დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით** მუშაობდა 1574 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი, სახელთსაშენებელი კომბინატი და სხვა საიჯარო ორგანიზაცია, რომლებმაც საკუთარი ძალებით შეასრულეს სახალხო მეურნეობაში საიჯარო სამუშაოთა მთელი მოცულობის 51 პროცენტი.

შარშან წარმოდგა მუშაობა მშენებლობის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის. მთლიანსაწყობი მშენებლობის მოცულობა 1973 წელთან შედარებით გაიზარდა 9 პროცენტით, ამასთან 6 პროცენტით გადიდდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. გაიზარდა მშენებლობაში ფოროვან შემვსებიანი ბეტონების მსუბუქი კონსტრუქციებისა და დიდი ზომის ფურცლის აზბესტცементების შემოხაკერიანი კონსტრუქციების გამოყენების მოცულობანი. კიდევ უფრო გავრცელდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროგრესული მეთოდი — სამრეწველო შესრულებათა სახურავების საკონვეიერო აწყობა და მსხვილბლოკიანი დამონტაჟება.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შემცირდა 0,4 პროცენტით. **მოგება** გაიზარდა 10 პროცენტით.

კაპიტალურ მშენებლობაში კვლავ არის არსებითი ნაკლოვანებანი: სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ვერ შესრულდა ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა; ცალკეული მშენებლობანი ჩამორჩნენ სამშენებლო-სამონტაჟო სუმუშაოთა გეგმის შესრულებაში, დროულად არ უზრუნველყვეს მოწყობილობითა და სპეციალურ-სახარჯთაღრიცხვიანი დოკუმენტაციით. დაუმთავრებელი მშენებლობა წლის მანძილზე რამდენადმე გაიზარდა და მისმა ოდენობამ გადააჭარბა დადგენილ ნორმატივებს. მნიშვნელოვანი რაოდენობის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს საიჯარო სამუშაოების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოგების გეგმა.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება

მუშა-მოსამსახურეთა საერთო-წლიურმა რიცხვმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 99,6 მილიონი და ერთ წელიწადში 2 მილიონით და მეტად, ანუ 2,2 პროცენტით გაიზარდა. კოლმეურნეობათა ცხოვრებრივ მეურნეობაში დასაქმებული კოლმეურნეების საშუალო-წლიურმა რიცხვმა შეადგინა 15,7 მილიონი. მატერიალური წარმოების დარგებში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა 2 პროცენტით. მუშაკთა რიცხვი ჯანმრთელობის დაცვაში, განათლებაში, მეცნიერებისა და მეცხიერულ მომსახურებაში, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და სხვა არამწარმოებლურ დარგებში გაიზარდა 3 პროცენტით.

ისევე როგორც წინა წლებში, უზრუნველყოფილი იყო სრული დასაქმება; ქვეყნის ცალკეულ რაიონებში იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა.

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით წელიწადში გაიზარდა 4,2 პროცენტით.

1974 წელს ვრცელდებოდა **მინიმალური ხელფასის გადიდება** თვეში 70 მანეთამდე სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში დასაქმებულ **საშუალოხელფასიანი კატეგორიების მუშათა ხატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი ხარგოვების ერთდროულ ზრდასთან ერთად.** გასულ წელს ამ ღონისძიების განხორციელება დამთავრდა ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში, შუა აზიაში, ვოლგისპირეთში, ვოლგა-ვიატკის რაიონში, დონბასსა და როსტოვის ოლქში და დაიწყო ქვეყნის ზოგიერთ სხვა რაიონში. გაიზარდა რუსეთის სფსრ არაშავმიწანიდაგიან ზონაში სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში მემანქანე ტრაქტორისტთა ბრიგადის ანაზღაურება, შემოღებულია მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების ხელფასის რაიონული კოეფიციენტები, რომლებიც მდებარეობენ ურალის რაიონებში, რომლებისთვისაც ეს კოეფიციენტები დადგენილი არ ყოფილა წინათ.

ქვეყნის იმ რაიონებში, სადაც მინიმალური ხელფასი უკვე გადიდდა, გადასახადებს აღარ გადაიხდიან: მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ ხელფასს 70 მანეთამდე ჩათვლით, და მეცირდება თვეში 90 მანეთამდე ჩათვლით ხელფასის გადასახადის განაკვეთები.

მუშა-მოსამსახურეთა ხაშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა 140,7 მანეთი 1973 წლის 134,9 მანეთთან შედარებით და 4,3 პროცენტით გაიზარდა. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებისა და შეღავათების დამატებით ხელფასი 183-დან 190 მანეთამდე გადიდდა. **კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება** 5 პროცენტით გაიზარდა.

დახმარებამ და შეღავათებმა, რომლებიც მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო, შეადგინა 83 მილიარდამდე მანეთი, რაც 5 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე 1973 წელს.

1974 წელს შემოღებულია დახმარება ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის და გაუმჯობესდა ინვალიდებისა და ომ ოჯახების სპეციალიური უზრუნველყოფა, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ ხელაროებში 10,2 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

დაიწყო სახელმწიფო სესხების ობლიგაციათა ვადამდე დაფარვა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო ბაქონელბრუნვამ** შეადგინა 195 მილიარდი მანეთი და 1973 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, 10,9 მილიარდი მანეთით გაზარდა, საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა მთლიანად ქვეყანაში 99,5 პროცენტით შესრულდა.

ცალკეული **საქონლის გაყიდვა** სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაიყიდა 1974 წელს პროცენტობით 1973 წელთან შედარებით
პურის პროდუქტები	100,3
ხორცი და ხორცის პროდუქტები	107
თევზი და თევზის პროდუქტები	103
კარაქი	105
მცენარეული ზეთი	103
მარგარინი	102
მოუხდელი რძის პროდუქცია	107
ყველი	107
კვერცხი	111
შაქარი	100
საყონელიტრო საქონელი	103
ჩაი	107
კარტოფილი	102
ბოსტნეული	102
ხილი და ციტრუსები	103
ტანსაცმელი, თეთრეული და ქსოვილები	106
ტრიკოტაჟის ნაწარმი	108
წინდის ნაწარმი	105
ტყავის ფეხსაცმელი	103
ფაიფურ-ქაშანურეული და მინის ჭურჭელი	112
საპონი	103
სინთეზური სარეცხი საშუალებანი	102
ავეჯი	107
მაცივრები	100
სარეცხი მანქანები	99
ელექტრომტვერსასრუტები	114
საათი	106
ფოტოაპარატები	103
მოტოციკლები და მოტოროლერები	107
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები	102
რადიომიმღებები და რადიოლები	108
ტელევიზორები	99
მსუბუქი ავტომობილები	135

საქონლის გაყიდვის ზრდის [illegible] ზრდილი მოთხოვნა ზოგიერთ [illegible] სრულად.

მოსახლეობის **საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა** გაიზარდა 9,5 პროცენტით, აქედან სოფლად — 12,3 პროცენტით. საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა რიცხვი ერთ წელიწადში 2 ათასი ერთეულით გადიდდა. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზეგმა შესრულდა.

ქვეყნის ეკონომიკის შემდგომმა აღმავლობამ, საცალო საქონელბრუნვის და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ზრდამ **უზრუნველყვეს ფულის მიმოქცევის სიმტკიცე.**

დიდი მასშტაბით განხორციელდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის სახსრებით **ხაექსპლოატაციოდ გადაეცა 110 მილიონამდე კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 2 მილიონ 250 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.** შარშან საბინაო პირობები გაუმჯობესება 11 მილიონზე მეტმა კაცმა.

აშენდა და ამოქმედდა 1,6 მილიონი მოსწავლისათვის გათვალისწინებული ახალი ზოგადსაგანმანათლებელი სკოლები. სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი 420 ათასი ბავშვისათვის, ბევრი საავადმყოფო, პოლიკლინიკა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი.

ამასთანავე მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა მთლიანად ვერ გამოიყენეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდება, ვერ შეასრულეს ამ მშენებლობის გეგმები.

შესრულდა სამუშაოები ქალაქებისა და სოფლების შემდგომი კეთილმოწყობისათვის. ერთ წელიწადში გაზი მიიღო 148 ქალაქმა და ქალაქის ტიპის დაბამ, 10 ათასამდე სასოფლო დასახლებულმა პუნქტმა. გაზიფიცირებულია 3,8 მილიონი ბინა, აქედან სოფლად — 1,5 მილიონი ბინა. არხანგელსკში, გორლოვკაში, გროზნოში, კაჩკანარში, მაიკოპსა და როვნოში გაიხსნა ტროლეიბუსის მიმოსვლა.

კიდევ უფრო განვითარდა **ხახალხო განათლება და კულტურა.** სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 85 მილიონამდე კაცი.

ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში სწავლობს 49 მილიონზე მეტი მოსწავლე. რეგულიანი სკოლა დაამთავრა 5,3 მილიონმა კაცმა, მათ შორის 92 პროცენტი სწავლას განაგრძობს საშუალო სკოლაში, ავრეთვე სხვა სასწავლებლებში, რომლებიც საშუალო განათლებას იძლევიან.

გაიზარდა საშუალო სასწავლებლებისა და მათი მოსწავლეების რიცხვი, გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც სრული საშუალო განათლება მიიღეს. 1974 წელს საშუალო განათლება მიიღო 4 მილიონზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა, ანუ თითქმის 300 ათასით მეტმა, ვიდრე წინა წელს.

გაბარგძლიერებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში იყო 6,8 მილიონი მოსწავლე, ანუ 7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1973 წელს.

შუადღის სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში ერთ-ერთ 11 მილიონამდე ბავშვი. ამას გარდა, სეზონური საბავშვო დაწესებულებანი მოემსახურა 4,5 მილიონზე მეტ ბავშვს.

სახალხო მეურნეობაში გაიგზავნა 1,8 მილიონზე მეტი სპეციალისტი, მათ შორის თითქმის 700 ათასი უმაღლესი განათლების მქონე და 1,1 მილიონზე მეტი საშუალო სპეციალური განათლების მქონე.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 4,8 მილიონი სტუდენტი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებში — 4,5 მილიონი მოსწავლე.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულია 963 ათასი კაცი, აქედან 566 ათასი ღიის განყოფილებებზე, რაც 21 ათასით აღემატება 1973 წლის მიღებას. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღებულია მილიონ 373 ათასი კაცი, აქედან 876 ათასი ღიის განყოფილებებზე, ანუ 12 ათასით მეტი, ვიდრე 1973 წელს.

1974 წლის დამლევისათვის **უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული)** განათლება აქვნდა სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 75 პროცენტს.

დიდი მასშტაბით ხორციელდებოდა მუშათა და მოსამსახურეთა, ავრეთვე კოლმეურნეთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა წლის მანძილზე მოამზადეს 1,9 მილიონი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა და ამ სასწავლებლებში შევიდა 2,2 მილიონი კაცი, მათ შორის სასწავლებლებში, რომლებიც პროფესიასთან ერთად იძლევიან საშუალო განათლებას, — 400 ათასზე მეტი კაცი. **ინდივიდუალური, ბრიგადული და საკურსო სწავლების** გზით უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ავრეთვე კოლმეურნეობებში, ახალი პროფესიები შეისწავლა და კვალიფიკაცია აიმაღლა დაახლოებით 25 მილიონმა კაცმა.

მასობრივი **ბიბლიოთეკების** რიცხვმა შეადგინა 130 ათასზე მეტი, ხოლო მათმა წიგნის ფონდებმა — 1,5 მილიარდი ეგზემპლარი და 1973 წელთან შედარებით მათ შეემატათ თითქმის 50 მილიონი წიგნი და ჟურნალი.

გამოცემული **წიგნებისა და ბროშურების** ტირაჟმა 1,5 მილიარდს გადააჭარბა.

კინოფანდგარების რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 155 ათასი, ხოლო წელიწადში კინოსეანსების დასწრების რიცხვმა — 4,6 მილიარდი.

ბაუმჯობესდა **მოსახლეობის სამედიცინო დახმარება.** ყველა სპეციალობის ექიმთა რიცხვი წლის მანძილზე გაიზარდა 33 ათასით და თითქმის 800 ათასი შეადგინა.

45 ათასით გაიზარდა **ადგილების** რიცხვი სანატორიუმებში, დასასვენებელ **სახლებსა** და **პანსიონატებში,** 32 ათასით — ტურისტულ ბაზებში, 40 ათასით — დასასვენებელ ბაზებში, სანატორიულ-საკურორტო **დაწესებულებებში,** დასასვენებელ სახლებში, ტურისტულ ბაზებში იმკურნალა და დაისვენა 40 მილიონმა მშრომელმა და მათი ოჯახის წევრმა.

დაახლოებით 20 მილიონი ბავშვი და მოზარდი ზაფხულის მანძილზე ისვენებდა პიონერთა და სასკოლო ბანაკებში, საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში, ან ზაფხულის პერიოდში გაიყვანეს ბაგარაკებზე საბავშვო დაწესებულებებმა.

ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღო 107 მილიონმა კაცმა.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ხაერთო რიცხვმა 1975 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 253,3 მილიონი.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება

	1974	1973	%
მუშა-მოსამსახურეთა საერთო-წლიური რიცხვი	99,6 მილიონი		
ერ-ერთ წელიწადში	2 მილიონ		
ანუ	2,2		
ინ	15,7		
ინ	2		
ინ	11		
ინ	1,6		
ინ	420		
ინ	4,8		
ინ	4,5		
ინ	963		
ინ	566		
ინ	21		
ინ	1,373		
ინ	876		
ინ	12		
ინ	75		
ინ	1,9		
ინ	2,2		
ინ	400		
ინ	25		
ინ	130		
ინ	1,5		
ინ	155		
ინ	4,6		
ინ	33		
ინ	800		
ინ	45		
ინ	32		
ინ	40		
ინ	20		
ინ	107		
ინ	253,3		

СССР КАВШИРИС МИНИСТРТА САБЧОСТА ЦЕНТРАЛЬНАЯ СТАТИСТИЧЕСКАЯ СЛУЖБА

უძველესი ქვეყნის სიჭაბუკე

26 იანვარი ინდოეთის რესპუბლიკად გამოცხადების დღეა

ერთხელ მივლინებიდან ვბრუნდებოდი სამხრეთი აზიის ერთ-ერთი უდიდესი ბოკაროს ფოლადსასხმელო ქარხნიდან (ბიპარის შტატი). გზაში გავიცანი ინჟინერთა ჯგუფი, ინდეკოა დაარბადიდან კალკუტაში მიდიოდა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა თათბირზე. ეხენი იყვნენ სიცოცხლით აღსავსე ხალისიანი ახალგაზრდები. ვაგონის ვრცელ კუპეში შემოსულებმა განაგრძეს რადიც საკითხზე გაცხოველებული მსჯელობა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც რესპუბლიკის თოქმის თანაკლონები იყვნენ, რესპუბლიკისა, რომელიც 26 იანვარს თავის 25 წლისთავს აღნიშნავს, ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს თათბირის დღის წესრიგის პრობლემებზე. ისინი ბატაცებით მიამბობდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური პროგრესის, მისი მიღწევების, სიძნელეებისა და პრობლემების, ბიპარის შტატის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

ბიპარს, ქვეყნის ჩრდილოეთის ერთ-ერთ უდიდეს შტატს, რომელიც დაახლოებით 60 მილიონი კაცი ცხოვრობს, **ინდოეთის „შავ ბრილიანტს“** უწოდებენ. მის ფიაღში აურაცხელი სიმდიდრეა, პირველ რიგში ქვანახშირი. ამიტომ მან მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ენერგეტიკული კრიზისის დაძლევაში, რომელსაც ახლა ინდოეთი განიცდის. ქვანახშირის მრეწველობის დაარქარეთი განვითარებისადმი ინდოეთის მთავრობის შეუნელებელი ყურადღების მეოხებით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკაში ქვანახშირის წარმოება. მიმდინარე 1974-1975 საფინანსო წლის 9 თვის მანძილზე, რომელიც 31 მარტს მთავრდება, ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა 62,5 მილიონ ტონამდე გასული საფინანსო წლის იმავე პერიოდის 56,8 მილიონთან შედარებით.

ეს მატება უწინარეს ყოვლისა არის იმის შედეგი, რომ 1972-1973 წლებში მოხდა ინდოეთის პრაქტიკულად მთელი ქვანახშირის მომპოვებელი მრეწველობის ნაციონალიზაცია. საზელმწიფო უდიდეს სახსრებს ახმარს ეროვნული ინდუსტრიის ამ დიდმნიშვნელოვან დარგს. აღსანიშნავია, რომ მარტო მიმდინარე წელს ამ დარგში კაპიტალური დაბანდება შეადგენს 1670 მილიონ რუპიას, რაც თითქმის ხუთჯერ აღემატება მთელი ხუთწლეულის **მანძილზე ქვანახშირის** მატბეტების წინანდელი, კერძო მფლობელობის ინვესტიციას. ბიპარის შტატი, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, თავისი განვითარების მეტად რთულ პერიოდს განიცდის. ინდოეთი დიდხანს იყო ინგლისელ კოლონიზატორთა უღელქვეშ, რომლებიც ძარცვავდნენ მის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ყოველნაირად აფერხებდნენ ეროვნული ინდუსტრიის განვითარებას, სოციალურ და ეკონომიურ პროგრესს. სავსებით ბუნებრივია, რომ შედარებით მოკლე დროში, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან გავიდა, შეუძლებელი იყო ყველა ის რთული პრობლემის გადაჭრა, რომლებიც კოლონიალიზმისაგან დარჩა მემკვიდრეობად.

ამიტომ ქვეყანაში ჯერ კიდევ სიღარიბე, უმუშევრობა და უფიხეტობაა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში. 1971 წლის აღწერის მონაცემებით, ინდოეთია მხოლოდ 30 პროცენტმა იცის წერა-კითხვა.

ამავე დროს მთავრობის პროგრესული ღონისძიებებით უკმაყოფილო მეწარმენი მიმართავენ საბოტაჟს. მეწარმენი აბეგრებენ კაპიტალურ დაბანდებას, ეკრძალებ მარცვლეულსა და მოსახლეობისათვის საჭირო სხვა საქონელს. ამის შედეგად მაღაზიებში **აკლია საქონელი,** მაშინ როცა იგი „შავ ბაზარზე“ მამასისხლად იყიდება.

ასეთი ღონისძიებით რეაქცია ცდილობს ეკონომიკაში შექმნას ქაოსი და ანარქია, რათა გამოიწვიოს მოსახლეობის უკმაყოფილება მთავრობის პო

მსოფლიო დღეს

პრეზიდენტი აღიარებს

ვაშინგტონი, 24 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ენ-ბი-სი სატელევიზიო კომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკა განიცდის „ძმიმე, კრიტიკულ პერიოდს“, და რომ ქვეყანა წაყდა როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ სიძნელეებს.

ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ კითხვებს რომ უპასუხა, ჯ. ფორდმა თქვა, რომ იქ „ომის სერიოზული საშიშროებაა“. ამასთან მან გამოთქვა ოპტიმიზმი ახლო აღმოსავლეთის სიტუაციის მოწესრიგების შესაძლებლობის შესახებ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ადგას ამ პრობლემის გადაწყვეტაში „იტალობრივი მიდგომის“ პრინციპს. ამასთან მან თქვა: თუ მიღწეული არ იქნება რაიმე პროგრესი, ნვენ უთუოდ იძულებული გავხდებით გავემგზაგოოთ ჟენევაში საზავო კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი „კონსტრუქციულ როლს ასრულებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემაზე მასუხის ძიებაში“.

ჰ. კისინჯერის გამოსვლა

ვაშინგტონი, 25 იანვარი. (სპიდსი). სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი ლოს-ანჯელესში გამოვიდა საერთაშორისო საქმეთა საბჭოში.

მან განაცხადა, რომ „მსოფლიოში არ შეიძლება იყოს არავითარი მშვიდობიანი საერთაშორისო წესრიგი, თუ კონსტრუქციული ურთიერთობა არ დამყარდა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

თუმცა არ შეიძლება ჩვენს ორ სიტყვას შორის არსებული მორალური ანტაგონიზმის უგულებელყოფა, თქვა სახელმწიფო მდივანმა, მაგრამ მანც მოსერხდა დაძაბულობის შენელება და ისეთი მომავლის საძირკვლის ჩაყრა, რომელიც დაფუძნებული იქნება დიდ თანამშრომლობაზე. ჰ. კისინჯერმა მაგალითისათვის დაასახელა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების, დასავლეთ ბერლინის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების დადება, დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელება ევროპის მთელ ცენტრალურ ნაწილში, საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის ორმხრივ ურთიერთობათა ქსელის გაფართოება.

ჰ. კისინჯერმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ვლადივოსტოკის შეხვედრაზე მიღწეულ შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი „მიზნად ისახავს ორი მხარის სტრატეგიული არსენალების შემცირებას“. სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისა

ბრწყინვალე, დაუვიწყარი

საგზოთა კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის საკავტორო კონცერტი მოსკოვში

მოსკოვი კონსერვატორიის დიდ დარბაზში შედგა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის ფილარმონიის აკადემიური სიმფონიური ორკესტრი, საკავშირო რადიოს და ცენტრალური ტელევიზიის დიდი გუნდი (საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის პროფესორ ვ. პტიცის ხელმძღვანელობით), ვოკალური ანსამბლი „რუსთავი“ და სოლისტები რსფსრ სახალხო არტისტი ა. ვედერნიკოვი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზ. სოტკილავა.

კონცერტს ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი პ. დემიჩევი.

პირველ განყოფილებაში შესრულდა ორატორია ბანის, გუნდისა და ორკესტრისათვის „რუსთაველის ნაკვალევზე“, მეორე განყოფილებაში — „მეგრული სიმღერები“ დამუშავებული ტენორის, ვოკალური ანსამბლისა და კამერული ორკესტრისათვის (სოლისტი ზ. სოტკილავა) და კანტატა „გურული სიმღერები“, ვოკალური ოქტეტის, გუნდისა და ორკესტრისათვის.

კონცერტს დიდი წარმატება ხვდა.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი **დ. მაკავარიანი** კონცერტის შემდეგ ეაუბრა საბჭოთა ხელოვნებისა და კულტურის გამორჩენილ მოღვაწეებს და სთხოვა გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებები კონცერტის ირგვლივ.

ი. კოზლოვსკი — **საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი:**

დღეს ქართული მუსიკის დაუვიწყარი საღამო იყო. მოვიხიბლე ჩინებული კომპოზიტორის ო. თაქთაქიშვილის მუსიკით. ჩემ თვალწინ გაირბინა საქართველოს დიდმა წარსულმა და მეგრელმა აწყომ. (რომელი ვერ შეიკავებე, როცა გურულ და მეგრულ სიმღერებს ვუსმენდი. „ოდოიამ“ და „ერიმანჯულმა“ ერთხელ კიდევ აღმაფრთოვანა. გამახსენდა ჩემი ახალგაზრდობა, როცა ახლოს ვეზიარე ქართულ მუსიკალურ კულტურას და მისი სამუდამო თაყვანისმცემელი გავხდი. განსაკუთრებული ანსამბლი „რუსთავი“. ზ. სოტკილავამ დამატყვევა. არ შეიძლება „დიდივი ნანას“ და „სისტურას“ დავიწყება.

ვ. ტბილიცა — **საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი:**

ჩემთვის დიდად სასიამოვნოა ო. თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტში მონაწილეობა. საკავშირო რადიოს და ცენტრალური ტელევიზიის დიდმა გუნდმა, ისე შეესისხლხორცა ქართული მუსიკა, როგორც მშობლიური. ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ დიდებული ნაწარმოებია, რომელიც ავტორმა რუსთაველის პოეტური გენიის უკვდავს. წინწყობილად მიმაჩნია. იგი ეღერს როგორც ბრწყინვალე რექვიემი.

ა. ხაჩატურიანი — **საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი:**

დღეს ო. თაქთაქიშვილის დაუვიწყარ საავტორო კონცერტზე კიდევ გამახსენდა თბილისი, არაგვის ჭერი, სადაც დავიბადე და გავიარე სიხარულით ამევსო. ვუმღერდი ო. თაქთაქიშვილის მუსიკას და თითქოს საქართველოს ბობოქარი მდინარეების ტალღებში დავიცურავდი. ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ ყოველთვის მოგვაგონდა და დღეს ეს აზრი კიდევ უფრო გამიორმაგდა. მეგრული და გურული სიმღერების ციკლი, რომელიც დღეს აქ შესრულდა, ფანტასტიკურია. „ერიმანჯულ“ განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენს. ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩემთვის რუსთავის მოკალური ანსამბლი. ინტონაციის რა სიწმინდე, რამდენი ნიუანსებენ, ლეთეგმრავი პიანისიმო! მოვიხიბლე ზ. სოტკილავამ ხმის განუმეორებელი ტემბრით.

მიდა მივულოცო კომპოზიტორს, კოლეგას, მეგობარს ო. თაქთაქიშვილს დიდი წარმატება. იგი თავისი მუსიკის მშვენიერი ინტერპრეტატორიც არის. მოუთმენლად ველოდები მის ახალ კონცერტს ფორტეპიანოსათვის. ვუსურვებ ახალ-ახალ გამარჯვებებს საბჭოთა მუსიკის საკეთილდღეოდ.

ვ. სანეევი — უძლიერესი

კრასნოჩრეწში მიმდინარე ახალი ზელანდიის ეროვნულ სპორტულ თამაშებში თავი ისახელა თბილისელმა ძალოსანმა, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, ხორცის დამსახურებულმა ოსტატმა ვიქტორ სანეევმა. 16 მეტრი და 63 სანტიმეტრი — ამ შედეგმა ვ. სანეევს პირველობა მოუტანა.

ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ფაინა მელნიკმა — 64 მეტრი და 18 სანტიმეტრი. ტოროს ტყორცნაში ტოლი არ ყავდა 23 წლის ზაპოროჟიელ სპორტსმენს ვალენტინ დმიტრენკოს — 70,52 მეტრი.

ცურვაში 100 მეტრზე ბრასის სტილით საბჭოთა სპორტსმენი ნიკოლოზ პანკინი მეორე იყო — 1.06,59, გამარჯვება კი მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იაპონელმა ნობუტაკა ტაკუტიმ — 1.06,48.

წარმატებით აიღეს სტარტი საბჭოთა წყალბურთელებმაც, რომლებმაც ზედიზედ დაამარცხეს ავსტრალიის (6:3), ინგლისისა (9:3) და ახალი ზელანდიის (17:3) გუნდები.

განსაკუთრებით კარგად ისახარეზა საბჭოთა ძალოსანმა დავით რიგერმა (საშუალო წონა), რომელმაც ატაცები აჩვენა 165 კილოგრამი, რაც 1,5 კილოგრამით აღემატება ვასილ რიეენკოვის მსოფლიოს რეკორდს.

ზაფთრის ჰეიზაქები

ჩვენ დიდ ლაბორატორიაში

ზამთარია ჩვენს ქვეყანაში. მზიანობა სუფევს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში. მრავალრიცხოვანი დამთვალიერებლები მარხილებით სეირნობენ (სურათზე — ზემოთ); ზამთრის პეიზაჟების გადაღების მოყვარულები ზამთრის ამ დღეებში მიიღებენ ახალ კინოპარატს „ლომო—214“, რომელსაც ავტომატური საეკსპოზიციო მოწყობილობა აქვს (სურათზე შუაში); ამ გოგონას კი (ქვემოთ) ზამთრის ყინვა ვერ აშინებს. იგი ყირგიზეთის მთებში ცხვრებს მწყემსავს. მას შაილო ოროზბეკოვა ჰქვია, მის ბრიგადას კი — „ედელვაისი“.

ნ. კულეშოვის, მ. ბლოხინის და მ. შლაფტინის ფოტო (საკადესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲙᲐᲠᲘᲡᲢᲐᲜᲘ

პრაქტიკაზე რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). პაკისტანის რესპუბლიკაში მყარი საფუძველი ეყრება მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას. ახლა ამ ქვეყნის წინაშე დგას ამოცანა მრეწველობის აღნიშნული დარგისათვის მოამზადოს კვალიფიციური მუშახელი. ამ მიზანს ისახავს 14 პაკისტანელი სპეციალისტის ჩამოსვლა ქართველ მეტალურგთა კალაქში.

სამი თვის მანძილზე ისინი გაეცნობიან № 3 პროფტექნიკური სასწავლებლის მუშაობის გამოცდილებას მეტალურგთა კადრების მომზადების საქმეში. შემდეგ კი აქ მიღებულ პრაქტიკას დანერგავენ თავიანთ ქვეყანაში.

რუსთავში ჩამოსვლამდე პაკისტანელები ანალოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ მოსკოვსა და ლენინგრადში.

პაკისტანელი მეგობრების ნორმალური მუშაობისა და ცხოვრებისათვის № 3 პროფტექნიკურ სასწავლებელში ყველა პირობაა შექმნილი.

ᲗᲐᲡᲘ — ᲒᲐᲚᲘᲜᲐ ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲕᲐᲡ

ბაკურიანი. (საკინფორმის კორ.). ბაკურიანის მზიან ფერდობებზე კვლავ გაიმართა უძლიერესი საბჭოთა მოთხილამურეების ასპარეზობა სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად.

ამ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, „ტრუდის“ წარმომადგენელმა, იეევსკელმა ბ. კულაკოვამ. მან სპატიო ჯილდო მოიგო ათ კილომეტრზე თხილამურებით რბოლაში. ამასთან აჩვენა შესანიშნავი დრო — 33 წუთი და 54 წამი. სახელგანთქმული მოთხილამურე ამ სეზონში თითქმის ათ სტარტში მონაწილეობდა, მაგრამ წარმანდელი წარმატებანი ვერაფრით ვერ გიამეორა. შეჯიბრებას იგებდა მისი ძირითადი მეტოქე, სოფლის სპორტსმენი, სეტივკარელი რაისა სმეტანინა. ამჯერად კულაკოვამ რვევანმი აიღო. რ. სმეტანინამ მეორე შედეგი აჩვენა — 34:17,7.

ასპარეზობის ზესამ პრიზიორი გახდა ცნობილი საბჭოთა მოთხილამურე, ლენინგრადელი ნინო ბალდიჩევა — 35.05,4.

ვაკები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 50 კილომეტრ დისტანციაზე. საკმაოდ გაბედულად გამოვიდა ასპარეზობის დებიუტანტი ევროპის ექს-ჩემპიონი ე. უნიორთა შორის ანატოლი შმიგუნი.

სახელგანთქმული საბჭოთა მოთხილამურის პავლე კოლჩინის აღზრდილმა — 22 წლის ა. შმიგუნმა არა მარტო აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა 2:30.41,2, არამედ მეტოქეებზე უფრო სწრაფად გაიარა დისტანციის ყოველი წრე.

გუშინ გაილინა კულაკოვამ გაიმარჯვა 5-კილომეტრიან დისტანციაზეც.

„სპორტლოტოს“ ᲛᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲨᲔᲯᲐᲛᲓᲐ „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მეორე ტირაჟის შედეგები, რომლებიც 1975 წლის 20 იანვარს გაიმართა მოსკოვში.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო. ამათი მოგება, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, შეადგენს 2.435 მანეთს (210 ბარათი). ვინც ოთხი ნომერი — 66 მანეთს (9763 ბარათი), სამი ნომერი — მანეთს (176.860 ბარათი).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი აქაც ვერავინ ვერ გამოიცნო. ამათი მოგება, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, შეადგენს 2914 მანეთს (50 ბარათი), ოთხი — 70 მანეთს (2530 ბარათი), სამი — 3 მანეთს (51899 ბარათი).

მეორე ტირაჟის მოგებათა გადახდას აწარმოებენ შემნახველი სალაროები 1975 წლის 1 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.

მ. მ. მირიანაშვილი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

გარდაიცვალა გამორჩენილი მეცნიერი, პედაგოგი და სახოგადო მოღვაწე, ერთიანი ფიზიკოსთა სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე **მათე მიხეილის-ძე მირიანაშვილი.**

მ. მირიანაშვილი დაიბადა 1906 წლის 5 ოქტომბერს თბილისში. აქვე მიიღო საშუალო განათლება და 1924 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1930 წელს დაამთავრა და დაინიშნა ზოგადი ფიზიკის კათედრის ასისტენტად. 1931 წლიდან უნივერსიტეტის მიღლინებით მუშაობს ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც ეწინა საბჭოთა კაჭრთის და უცხოეთის გამოჩენილ მეცნიერებს. აღრმავებს თავის ცოდნას და იწყებს თეორიული ფიზიკის სწავლას.

1933 წელს მ. მირიანაშვილი თბილისის უნივერსიტეტში დაბრუნდა, ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგედ დაინიშნა და დაიწყო ზოგადი და თეორიული ფიზიკის კურსების კითხვა; 1935-38 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტთან დაარსებულ ფიზიკის ინსტიტუტში, 1939 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1943-51 წლებში მ. მირიანაშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის და ვეფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი იყო, 1956-58 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის სემინარებს ხელმძღვანელობდა. 1959 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, 1961 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, 1974 წელს კი — აკადემიკოსად. ამავე წლებში ჯერ თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი იყო, პროორექტორი სასწავლო დარგში, შემდგომ კი — პრორექტორი სამეცნიერო დარგში, 1957 წელს სკკპ რიგებში შეედა.

მ. მირიანაშვილი ფიზიკის სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილი 60-ზე მეტი სამეცნიერო წერილის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და ენციკლოპედიის ავტორია. ამ ნაშრომებში მკვლევარი ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლითაც იგი ასე უხვად იყო დაჯილდოებული. მ. მირიანაშვილს განსხილული აქვს ქვანტური მექანიკისა და ქვანტური ფიზიკის საკვანძო საკითხები. 1955 წელს თანაავტორებთან ერთად მ. მირიანაშვილმა პირველად გამოთქვა ჰიპოთეზა სპეციალური ტიპის ელემენტების აოსებობის შესახებ, ოთხეული სამი წლის მეოდგ გაიმეორეს უცხოეთში. 1958 წელს მ. მირიანაშვილმა დასრულა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც წარადგინა სადოქტორო დისერტაციის სახით.

1963 წელს მ. მირიანაშვილი საკავშირო გრავეტაციული კომისიის წევრად აირჩიეს, 1964 წელს კ. ბან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი შექმნა, ეს ჯგუფი ამჟამადაც წარმატებით სწავლობს გრავიტაციისა და ფარდობითობის ზოგადი თეორიას ექსპერიმენტალურ საკითხებს. სპეციალური საკითხების გარდა მ. მირიანაშვილის ნაშრომებში ფიზიკის ფილოსოფიური საკითხებიც არის გაშუქებული, აღსანიშნავია, რომ მან ფიზიკაში ვ. ი. ლენინის იდეები გამოიყენა და მოგვცა სივრცე-დროის მატერიალისტური გაგება, რასაც ეძღვნება მ. მირიანაშვილის ნაშრომები, რომლებიც აინშტაინის თეორიის საკითხებს შეეხება. აღნიშნული საკითხები გაშუქებულია მონოგრაფიაში — „ალბერტ აინშტაინი“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მ. მირიანაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. ჩინებული ფიზიკოს-თეორეტიკოსი მ. მირიანაშვილი დიდი მასწავლებელიც იყო. 1933 წლიდან გარდაცვლამდე იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი და თეორიული ფიზიკის კურსებს კითხულობდა.

ეთე მირიანაშვილის მოღვაწეობა საშობლოს ღირსეულად დაფასა, იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენითა და მედლებით.

მ. მირიანაშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მოწაფეების, კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი; საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

მწყემსის სიმამაცე

ახმეტა. (საკ. კორ.). გაიოზ ჯიოევი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მწყემსად წავიდა პანკისის საბჭოთა მეურნეობაში. როგორც ყოველთვის, ახლაც პანკისელთა ცხვარი, შირაქში იზამთრებს. ამ დღეებში გ. ჯიოევმა ცხვრის ფარა ჩვეულებრივად გელზე გაიყვანა საბალახოდ. საღამოს ბინდბუნდში, როცა ჯარგად ნაბალახევ ცხვარს ფარეხისაკენ მიერეკებოდა, ბეჩქებიდან გამოვარდნილი მგელი ფარაში შეიჭრა. ახალგაზრდა მწყემსი არ დაიბნა, და მხეცს მეცხვარის განუყრელი თანამგზავრი — შვინდის კომბალი დასცხო. დარტყმანებული მგელი გაიქცა, მაგრამ საბრისპირი მხრიდან ძაღლების ყეფა შეგოესმა, ოკანვე შემოტრიალდა და მწყემსს მიაშურა. გ. ჯიოევმა იმარჯვა და კომბალი მთელი ძალით დასცხო.

მწყემსები შემთხვევის ადგილზე მოცვივდნენ, მაგრამ ამხანაგის დახმარება საჭირო აღარ იყო, ნადირი სულს ღაფავდა.

ა. თვალიაშვილი.

ᲢᲧᲣᲛ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ

წყალტუბო. (საკ. კორ.). სოფელ რიონის მახლობლად მდებარე ტყეში ხანძარი გაჩნდა. იგი უმალ შენიშნეს კოლმეურნეობის პარტიბიუროს მდივანმა გ. ტურბაძემ და მოხალისეთა სახანძრო რაზმის ხელმძღვანელმა ვ. სიხარულიძემ, რომლებმაც დარაზმეს კოლმეურნეები უკვე გამძვინვარებული სტიქიის ალსაკვეთად.

ხანძარი სულ მალე ჩაქრეს. სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელეს კოლმეურნეობის ავტომანქანების მძღოლებმა ო. მამრიკიშვილმა და ნ. ზაქარაშვილმა, კოლმეურნეებმა გ. კვანტრემ, დავით, შოთა და მურად მამრიკიშვილებმა.

დ. გელენიძე.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი მწუხარებით იუწყებიან, რომ გ. ბერდიაევლა ოთელის 26 კომისრის რაიონის სამხედრო კომისარი, პოლკოვნიკი

ᲖᲐᲛᲐᲚ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲕᲔᲜᲔᲚᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შვილსწავლოთ რუსული ენა“, 12.00 — სატელევიზიო ფილმი — „იოლი როდია“, 12.20 — „საჭადრაკო სკოლა“, 12.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. „მუტეკრანი“, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „კინოაფიშა“, 14.00 — სატელევიზიო ფილმი „ანდრონიკოვის ნაამბობი“, 15.00 — მხატვრული ფილმი „ორი მებრძოლი“, 16.15 — ფ. მენდელსონი. კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. ასრულებს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლიანა ისაკაძე (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.45 — მოსწავლეთათვის სატელევიზიო ჟურნალი. „საპოვნელი“, 17.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კონცხს აქტაუზე, 18.30 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ასე იწყებოდა 1905...“, 19.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმი „მაუღლი“ (II სერია), 19.45 — ფერადი ტელევიზია „კინომოუაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“ — შ. ნიშნიანიძე, 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ქართული სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „სიყვარული, „ივერია“ და...“ (პრემიერა).

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო დადგმა „ქმნმი სტოკმანი“ (II ნაწილი), 19.35 — დოკუმენტური ფილმი „ჯარისაცი მუდამ მზად არის“, 20.35 — მხატვრული ფილმების ალმანახი „ხუმრობთ?“

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამით

17.05 — დოკუმენტური ფილმი „შესავალი“, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური საღებავი“, 18.40 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.00 — „ჩვენი სატელევიზიო ვერნისაჟი“, 19.35 — „მხატვრული დიდება“ — სატელევიზიო ტურნალი, 20.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ გაზაფხულის ჩვიდმეტი გაზაფხული“ (1 სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კონცერტი, 23.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — სსრკ ისტორია. 18.50 — „ჯადოსნური ეკრანი“, 19.50 — განცხადებები, 19.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების კარი“ (გამორეკილი), 20.45 — მხატვრული ფილმი „მწვანე ძეწკვები“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 10.00 ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — საუბარი „დავიცვათ ატმოსფეროს სიხუფთავე“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15—ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთი „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მექსიკელი“, 18.05 — ქართული კამერული მუსიკა, 18.45— ინსტრუმენტულ ანსამბლ „როკოკოს“ კონცერტი, 19.00 — საუბარი „საქართველოს ავტომტრანსპორტი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „შრომა საბჭოური ცხოვრების წესის საფუძველია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — საოპერო მუსიკა, 23.30— საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲐᲛᲝ ᲡᲘᲣᲠᲗᲮᲘᲚᲘ** (დღისით), **ᲓᲣᲜ-ᲙᲘᲮᲝᲢᲘ** (საღამოს), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲡᲐᲑᲐᲠᲐᲚᲓᲔᲘᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲜᲐ** (დღისით), **ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ** (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲭᲘᲚᲘᲚᲝᲑᲐ**; ვასო აბაშიძის სახელობის შუხიკალური კომედიის — **ᲯᲐᲠᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲨᲘᲠᲗᲐ** (დღისით), **ᲣᲪᲐᲠᲣᲯᲐᲠᲘ ᲗᲣᲗᲐᲑᲔᲠᲘ** (საღამოს).

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 280096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УФ 02533

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14